პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 70 (7631)

11 აპრილი,
ოთხშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ნომერში:

პანს სელიე, სტრესი და სპორტი (მე-2 გვ.)

ორიენტირი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა (მე-2 გვ.)

„დინამო" ქართული ფეხბურთის სარკეა (მე-3 გვ.)

ფეხბურთი ციფრებში (მე-3 გვ.)

პროგნოზები, პროგნოზები, პროგნოზები... (მე-4 გვ.)

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

ლოს-ანჯელესის (აშშ) XXIII ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სამ თვეზე ცოტა მეტი დარჩა. თანდათან ახლოვდება ის დრო, როცა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტებმა უნდა გადაწყვიტონ, მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ამ ასპარეზობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს წერილობითი გარანტია წარუდგინა, რომ აშშ დაიცავს ოლიმპიური ქარტიის ტრადიციებს, წესებსა და დებულებებს, მაგრამ, როგორც ფაქტები ადასტურებს, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში გარანტიები და ვალდებულებები არ სრულდება. აშშ-ის ადმინისტრაცია ცდილობს არჩევნების წინ თავისი ანგარებიანი, პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს ოლიმპიური თამაშები.

შეერთებულ შტატებში ფართო კამპანიაა გაშლილი ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის წინააღმდეგ. ანტიოლიმპიურ საფუძველზე ერთიანდებიან სხვადასხვა რეაქციული პოლიტიკური, ემიგრანტული და რელიგიური დაჯგუფებანი. კერძოდ, შეიქმნა კოალიცია „აიკრძალოს საბჭოები", რომელსაც აშშ-ის ოფიციალური სამსახურები უჭერენ მხარს. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებსა და ოფიციალურ პირებს დაუფარავად ემუქრებიან ფიზიკური ანგარიშსწორებით, პროვოკაციული აქციებით. ავრცელებენ ცილისმწამებლურ ხმებს, თითქოს ოლიმპიადაში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა საფრთხეს შეუქმნის აშშ-ის უშიშროებას.

ყოველივე ეს ძირეულად ეწინააღმდეგება ქარტიის ტრადიციებსა და წესებს, რომელშიც ნათქვამია: ოლიმპიური მოძრაობა მიზნად ისახავს „ახალგაზრდობის აღზრდას სპორტის დახმარებით ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით, რითაც ხელს უწყობს უკეთესი და უფრო მშვიდი მსოფლიოს შექმნას". დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური თუ პოლიტიკური მოტივებით როგორც ქვეყნების, ისე ცალკეულ პირთა მიმართ.

ცნობილია, რომ ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას ეკისრება პასუხისმგებლობა ეროვნული დელეგაციების სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამჟამად ლოს-ანჯელესში შექმნილი ვითარება ეჭვქვეშ აყენებს მიღებულ ღონისძიებათა ეფექტურობას. ამერიკის პრესა იუწყება, რომ ქალაქში მიმდინარეობს მზადება თამაშების პერიოდში პოლიტიკური დემონსტრაციებისა და მიტინგების მოსაწყობად, უკვე აკრავენ სოციალისტური ქვეყნების მიმართ მტრულ ლოზუნგებსა და პლაკატებს. ძლიერდება შიში იმის გამო, რომ სპორტსმენთა მოქალაქეობრივი უფლებები შეილახება, ხოლო მათ ღირსებას შეურაცხყოფენ.

არ შეიძლება არ დაგვაფიქროს თამაშებზე „თავისუფალი ევროპის" წარმომადგენელთა აკრედიტების განზრახვამ, რაც ოლიმპიური ქარტიის 51-ე წესის პირდაპირი დარღვევა იქნებოდა. როგორც ცნობილია, ამ რადიოსადგურს აშშ-ის დაზვერვის სამსახურები ინახავენ და იგი ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ.

ოლიმპიური ქარტიის 59-ე წესის თანახმად, „ოლიმპიური მოწმობით უნდა დადგინდეს მისი მფლობელის ვინაობა. ეს დოკუმენტი იძლევა იმ ქვეყნის საზღვრების გადალახვის უფლებას, რომელსაც ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქი ეკუთვნის". ასეთი წესი მოქმედებდა მონრეალის, მოსკოვის, სარაევოს ოლიმპიურ თამაშებზე. მაგრამ წლეულს, აპრილის დამდეგს, სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს აცნობეს, რომ იგი ვალდებულია მოსკოვში აშშ-ის საელჩოს ჩააბაროს დელეგაციის წევრთა სიები სავიზო ნებართვათა მისაღებად. ამასთან, აშშ-ის საელჩომ დაიტოვა უფლება ოლიმპიადაზე გამგზავრების ნებართვა არ მისცეს იმათ, ვის კანდიდატურასაც თვითონ არ მოიწონებს, რაც უკვე ხორციელდება პრაქტიკაში. როგორც ცნობილია, ახლახან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ვიზის გაცემაზე უარი უთხრა საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ ატაშეს, რომლის კანდიდატურაც საორგანიზაციო კომიტეტთან იყო შეთანხმებული. აშკარა ხდება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს თავის უფლებად მიაჩნია გამუდმებით შეიტანოს „შესწორებები" ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობაში, ხოლო ცალკეულ საკითხებში შეცვალოს კიდეც მისი გადაწყვეტილებები.

ამგვარად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ეჭვქვეშ დააყენა იმ შეთანხმების შესრულება, რომელიც გასული წლის დეკემბერში დაიდო სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს შორის.

მსოფლიო საზოგადოებრიობა უკვე დიდი ხანია გამოთქვამს შეშფოთებას ლოს-ანჯელესის თამაშების თავშეუკავებელი გაკომერციულების გამოც. ოლიმპიადის ხარჯზე რაც შეიძლება მეტი შემოსავლის მიღებისაკენ სწრაფვამ პირდაპირ მახინჯი ფორმები მიიღო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უხეშად ირღვევა ოლიმპიური ქარტიის 62-ე წესი, რომელიც კრძალავს ოლიმპიური ცეცხლის კომერციული მიზნით გამოყენებას. ლოს-ანჯელესში ფასების ზრდას კონტროლს არავინ უწევს. მომსახურების ბევრ ისეთ სახეს, რაც ტრადიციულად უფასოდ სრულდება, აქ ცეცხლის ფასი დაედება.

ოლიმპიური ქარტიის დარღვევა, აშშ-ის რეაქციული წრეების მიერ გაჩაღებული ანტისაბჭოური კამპანია, რასაც ოფიციალური ხელისუფლებაც უჭერს მხარს, არანორმალურ ვითარებას ქმნის. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და მის პრეზიდენტს ხ. ა. სამარანჩს მიმართავს თხოვნით დაუყოვნებლივ განიხილონ ლოს-ანჯელესში ოლიმპიური თამაშების წინ შექმნილი მდგომარეობა სოკ-ის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სხდომაზე და მოსთხოვონ ამერიკის მხარეს ოლიმპიური ქარტიის მკაცრად დაცვა, ეფექტურ ღონისძიებათა მიღება ოლიმპიადის მონაწილეებისა და სტუმრებისათვის საჭირო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს, მსოფლიო სპორტულ საზოგადოებრიობას მიმართავს მოწოდებით გაერთიანდნენ ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებისა და იდეალების დასაცავად, გააკეთონ ყველაფერი, რათა თამაშები კვლავაც დარჩეს მშვიდობისა და პლანეტის ყველა ხალხის მეგობრობის დღესასწაულად. მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და კეთილმოსურნეობის სულისკვეთება მუდამ იყო მსოფლიოს სპორტული ახალგაზრდობის ურთიერთობის საფუძველი.

VILNIUS '84
КАСПАРОВ - СМЫСЛОВ
GENS UNA SUMUS
КАСПАРОВ
СМЫСЛОВ

დიდი ცხოვრებისეული და საჭადრაკო გამოცდილება, სიბრძნე, სიდარბაისლე, დაუნჯებული გონება ერთ თვეს ეჩკინებოდა სრულიად ახალგაზრდა კაცის იშვიათ, უზადო ნიჭს, დაუოკებელ სწრაფვას გამარჯვებისკენ, უსაზღვრო ტემპერამენტს. ბოლოს ჭაბუკის ვირტუოზულმა, განუმეორებელმა ნიჭმა იძალა...

ანატოლი კარპოვის მეტოქეა გარი კასპაროვი

გუშინწინ ვილნიუსში ვ. სმისლოვმა და გ. კასპაროვმა ყაიმით დაამთავრეს მეცამეტე პარტია. ამრიგად, კასპაროვმა მოაგროვა ხანუკვარი 8,5 ქულა და გაიმარჯვა. ახალგაზრდა დიდოსტატმა მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვთან შეხვედრის უფლება მოიპოვა.

კასპაროვმა დიდი შემართებით იბრძოლა. იგი ფავორიტი იყო, რაც საგრძნობლად ზრდიდა მის პასუხისმგებლობას. ახალგაზრდა დიდოსტატის დამოკიდებულებაში მეტოქისადმი დიდი პატივისცემა და მოკრძალება იგრძნობოდა. სმისლოვის დაბადების დღეს მან დიდსულოვნება გამოიჩინა და „ტაიმ-აუტი" აიღო. კასპაროვი ამჟღავნებდა დიდ ცოდნას, შემოქმედებით ნიჭსა და საოცარ ალღოს. ეს უკანასკნელი თვალნათლივ გამოჩნდა მეორე პარტიაში, როცა სმისლოვმა, კასპაროვის საყვარელ ტარაშის დაცვაში, უცნობი გაგრძელება გამოიყენა. საერთოდ, სადებიუტო დისკუსიაში, რომელიც ძირითადად ტარაშის დაცვის ირგვლივ მიმდინარეობდა, კასპაროვმა ღრმა ერუდიცია გამოავლინა.

უშეღავათო ბრძოლა პარტიის სხვა სტადიებშიც ერთი წუთითაც არ დამცხრალა. სპეციალისტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს კასპაროვის მხრიდან ენდშპილის დიდოსტატური თამაში, ისიც, რომ მას არც ერთ პარტიაში საეჭვო პოზიცია არ ჰქონია. ეს ყველაფერი კასპაროვის სტილის ჰარმონიულობაზე, მისი თამაშის უმაღლეს ხელოვნებაზე მეტყველებს.

ასაკის მიუხედავად კასპაროვი (13 აპრილს იგი 21 წლისა გახდება) საოცრად დინჯი და საკუთარ ძალაში დაჯერებული კაცი ჩანს, მიზნისკენაც თანამიმდევრულად მიიწევდა: 0,5:0,5, 1:1, 2:1, 3:1, 3,5:1,5, 4:2, 4,5:2,5, 5:3, 6:3, 6,5:3,5, 7:4, 8:4, 8,5:4,5 (+4—0=9).

ბოლო პარტიის შემდეგ გ. კასპაროვმა თქვა:

— ფინალურმა მატჩმა საინტერესოდ ჩაიარა. სმისლოვი დიდი ერუდიციით, გამომგონებლობით, ენდშპილის ბრწყინვალე ცოდნით გამოირჩევა. ამ გარემოების გათვალისწინებით ვცდილობდი დამკვიდრებას სადებიუტო დუელში, რაც ნაწილობრივ მაინც შევძელი. შემოქმედების თვალსაზრისით საუკეთესოდ მიმაჩნია მეცხრე და მეათე პარტიები. ჩემი გამარჯვებისა კი მეათე პარტიის შემდეგ ვიწამე.

მომავალში ბევრი დაიწერება კასპაროვის პრეტენდენტთა მატჩებში თამაშზე (ა. ბელიავსკისთან, ვ. კორჩნოისთან, ვ. სმისლოვთან). დღეს კი შეგვიძლია ვთქვათ: ამ ორთაბრძოლებში გარი კასპაროვმა ყველა დაარწმუნა, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ღირსეული მაძიებელია. ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს მასზე ახალგაზრდა პრეტენდენტი.

ახლა, რა თქმა უნდა, ყველა გულშემატკივარი კარპოვ-კასპაროვის მატჩის მოლოდინშია. მსგავსი შეხვედრა მსოფლიო პირველობის მატიანეში ერთი ან ორი თუ მოიძებნება. ამჟამად ორივე დიდოსტატი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში იმყოფება. ა. ალიოხინის ცნობილი სიტყვების პერიფრაზით: ძნელი წარმოსადგენია როგორ უნდა მოუგოს კარპოვმა ექვსი პარტია კასპაროვს, ანდა, პირიქით, კასპაროვმა კარპოვს (მატჩში თამაში 6 მოგებამდე გაგრძელდება). აქამდე ჩემპიონი და პრეტენდენტი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივე პარტია ყაიმით დაამთავრეს.

მაშ ასე, ჭადრაკის სამყარო დიდი კითხვის წინაშე დგას: ვინ იქნება მსოფლიო ჩემპიონი — ანატოლი კარპოვი თუ გარი კასპაროვი?

თენგიზ გიორგაძე.

აკრობატთა ახალგაზრდული რესპუბლიკური პირველობა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე უფრო საპასუხისმგებლო სტარტებისთვის ძალების შემოწმებად და ერთგვარ საკონტროლო შეჯიბრებად ითვლება. წლევანდელი ასპარეზობა, რომელიც „შრომითი რეზერვების" სარბიელზე გაიმართა, მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ და, ბუნებრივია, სპეციალისტთა დიდი ინტერესიც გამოიწვია. შეჯიბრების ანგარიში იხილეთ „ლელოს" უახლოს ნომერში.

ერთდროულად, 10 სექტემბერს...

ლუცერნში (შვეიცარია) ფიდე-ს შტაბ-ბინამ გამოაცხადა, რომ ჭადრაკში მსოფლიო პირველობები ვაჟთა და ქალთა შორის ერთდროულად, 10 სექტემბერს დაიწყება.

როგორც ცნობილია, მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა მოჭადრაკეები. ჩემპიონის ტიტული მაია ჩიბურდანიძემ ირინა ლევიტინასთან პაექრობაში უნდა დაიცვას, ანატოლი კარპოვმა კი — გარი კასპაროვთან ორთაბრძოლაში.

ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ლიმ კოკ ანმა თქვა: შეჯიბრების დაწყების დრო ისეა შერჩეული, რომ მატჩები საჭადრაკო ოლიმპიადის სტარტამდე დამთავრდეს. ოლიმპიადა დაიწყება 18 ნოემბერს, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში.

სტრესი, სტრესი, სტრესი!—„ძნელია დაასახელო რომელიმე სხვა მეცნიერული ცნება, რომელიც ასე ჩქარა გასცდებოდა მეცნიერების ფარგლებს, შემოიჭრებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში, შევიდოდა ჩვენს ყოველდღიურ ლექსიკონში“ — მწერალ ვ. მიხაილოვის ამგვარი შეფასება არ შეიძლება გაზვიადებად ჩაითვალოს. სტრესი და მისი ბიოლოგიური ფენომენი — ადაპტაციური სინდრომი XX საუკუნის ბიოლოგიური მეცნიერების უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება. ამ თეორიამ რაღაც ორმოციოდე წლის განმავლობაში ისეთი ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოში, ამ მიმართებით იმდენი ფაქტობრივი მასალა დაგროვდა, რომ დღეისათვის წარმოუდგენელია ადამიანის რაიმე აქტიური მოქმედება, სადაც თავს არ იჩენს სტრესი. „სტრესი და გული“, „ცხოვრების სტრესი“, „სამსახური და სტრესი“, „სპორტი და სტრესი“, „მწვრთნელი და სტრესი“, „სპორტული გულშემატკივარი და სტრესი“, „ემოციური ხასიათის სტრესები“, „ფიზიკური ხასიათის სტრესები“ და ა. შ.

სტრესი და სპორტი

„სტრესული რეაქციების თავიდან აცილება შეუძლებელია. თუ სტრესები თქვენზე არ ზემოქმედებენ, თქვენ მკვდარი ბრძანდებით. სტრესები არამც თუ აუცილებელია, იგი ცხოვრების ცხარე საკაზმია. უიმისოდ ცხოვრება არ არსებობს. გლეხი, რომელიც დაძაბულად მუშაობს მოსავლის აღების დროს, ადმინისტრატორი, რომელიც რთულ გადაწყვეტილებას ღებულობს, სპორტსმენი, რომელიც გამარჯვებისაკენ მიილტვის, ქმარი, რომელიც მომაკვდავი ცოლის საწოლთან ზის — ყველა სტრესს განიცდის“. ეს სიტყვები ეკუთვნის სტრესული თეორიის აღმომჩენს, ჩვენი დროის საყოველთაოდ აღიარებულ, ერთ-ერთ უდიდეს ფიზიოლოგს კანადელ პროფესორ ჰანს სელიეს. ჰანს სელიემ პირველი ნაშრომი სტრესის შესახებ გამოსცა 1936 წელს სათაურით „მავნე ფაქტორებით გამოწვეული ერთ-ერთი სინდრომის შესახებ“. მას შემდეგ მან ამ პრობლემას 6 წიგნი და 600-ზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა. სტრესულმა თეორიამ, ან როგორც მას უწოდებენ, „ადაპტაციურმა სინდრომმა“ მსოფლიოს ყველა კუთხეში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დღეისათვის მარტო მონრეალის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული მედიცინისა და ქირურგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ინახება 95000 წიგნი და ორიგინალური ნაშრომი ამ თეორიის ირგვლივ. უკანასკნელ ხანს უნგრეთში გამოიცა ორტომიანი გამოკვლევა სტრესების შესახებ მცენარეებში. ამ ნაშრომის გამო თვით ჰანს სელიემ შენიშნა: „მე წარმოდგენაც არ მქონდა, თუ მცენარეებსაც შეეძლოთ სტრესების განცდა“.

ამრიგად, ნათელია, რომ ადამიანს არ შეუძლია უსტრესოდ ცხოვრება და მოქმედება, რაც მეტია პიროვნების აქტივობა, მით მეტია სტრესული ზემოქმედება. ამიტომ დღეისათვის აუცილებელია ამ თეორიის ცოდნა და მისი სწორად გამოყენება ცხოვრებაში.

სტრესი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს მკვეთრ დაძაბულობას. როგორც თვით ჰანს სელიე აღნიშნავს, აღმოჩნდა, რომ დაღლილობაზე, სიცივეზე, ჩქარ სირბილზე, შიშზე, დამცირებაზე, ტკივილზე, სისხლის დაკარგვაზე ორგანიზმი უპასუხებს არა მარტო თავდაცვითი რეაქციით (მაგალითად, სიცივეზე სისხლძარღვთა შეკუმშვით), არამედ ერთგვარი ერთტიპიური ფიზიოლოგიურ პროცესით, მიუხედავად გამღიზიანებლის ნაირსახეობისა — იყოს ეს სიცივე, ჩქარი სირბილი, შიში, დაღლილობა ან სხვა. ამ ერთტიპიური ფიზიოლოგიური პროცესის დახმარებით ორგანიზმი ახდენს თავის შინაგან შესაძლებლობათა მთლიან მობილიზებას თავდაცვისათვის, ახალ სიტუაციასთან შეგუებისათვის, ადაპტაციისათვის. აღმოჩნდა, რომ ამ დროს სისხლში გარკვეული კანონზომიერებით იწყება განსაზღვრული ჰორმონების გამოყოფა. მათი ზეგავლენით კი იცვლება ბევრი მნიშვნელოვანი ორგანოს და მთელი ორგანიზმის მუშაობის რეჟიმი. მაგალითად, ხშირდება გულისცემა, მატულობს სისხლის შედედების უნარი, აქტიურდება იმუნიტეტი. ორგანიზმი მზადაა ბრძოლისათვის, მზადაა დაძლიოს წინააღმდეგობა, ამა თუ იმ გზით შეეგუოს მას. სელიეს აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს სტრესის ბიოლოგიური მნიშვნელობა, რომელსაც იგი ადაპტაციურ სინდრომს უწოდებს. ამრიგად, სტრესის ბიოლოგიური აუცილებლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ თურმე ადაპტაციურ სინდრომს, რომელიც ავადმყოფობისგან გვიცავს, თვითონვე შეუძლია გამოიწვიოს დაავადება. ჰანს სელიეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ვთქვათ, გველმა გიკბინათ, ორგანიზმი ამას უპასუხებს სტრესული რეაქციით — სისხლში გამოყოფილი განსაზღვრული ჰორმონები ახდენენ ორგანიზმის ძალების მობილიზებას შხამის უვნებელსაყოფად, ადგილობრივი ანთების წინააღმდეგ. შესაბამისად ორგანიზმში იცვლება საერთო ბიოქიმიური პროცესი. მაგრამ თურმე თავდაცვითი ძალების ზემოქმედებას განიცდიან არა მარტო დაზიანებული, არამედ ჯანმრთელი ქსოვილებიც, რამაც შეიძლება მათში არასასურველი ცვლილებანი გამოიწვიოს, ასე წარმოიქმნება „ადაპტაციის ავადმყოფობანი“, როგორიცაა ალერგია, კუჭ-ნაწლავის წყლულები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადება, ნერვული მოშლილობა და სხვა მრავალი. როგორც სელიე ამბობს, ამით ორგანიზმი იხდის ერთგვარ საფასურს უშუალოდ საშიშროებისაგან თავის დაცვის შესაძლებლობისათვის. ჰანს სელიეს მოჰყავს კიდევ ერთი მაგალითი. ჩიკაგოს აეროპორტში იგი აკვირდებოდა საავიაციო დისპეტჩერთა მუშაობას. ერთი შეხედვით ისინი ისე მუშაობდნენ, როგორც სხვა ჩვეულებრივი ადამიანები, აუღელვებლად და დაუძაბავად, მაგრამ მათ ხომ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ — მცირეოდენმა უყურადღებობამ შეიძლება თვითმფრინავის დაღუპვა გამოიწვიოს. ეს სამსახურებრივი პასუხისმგებლობა ქრონიკული სტრესია. სელიემ დაადგინა, რომ ამ მუშაკთა 35 პროცენტი დაავადებულია სტრესით გამოწვეული კუჭის წყლულით და ბევრი მათგანი იძულებულია ამის გამო ნაადრევად გავიდეს პენსიაზე.

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს თუ რა უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ორგანიზმზე სტრესმა, სტრესულმა ემოციურმა დატვირთვამ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აქამდე სტრესი განმარტებული იყო, როგორც უარყოფითი მოვლენა, ორგანიზმის მიმართ მწვავე დარტყმა, რომელსაც თავს უნდა ვარიდებდეთ. ასეთივე აზრი ჰქონდა თავდაპირველად თვით ჰანს სელიესაც, მაგრამ მან კვლევის გაგრძელების შემდეგ დაასკვნა, რომ სტრესი შეიძლება გამოიწვიოს როგორც „მწვავე დარტყმამ, ისე მხურვალე კოცნამ“. როგორც დიდი მწუხარების, ისე დიდი სიხარულის დროს ორგანიზმში მიმდინარეობს სტრესისთვის დამახასიათებელი რეაქცია. აქედან გამომდინარე, სტრესისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო კონგრესმა, ეს ფენომენი განსაზღვრა, როგორც „ორგანიზმის არასპეციფიკური რეაქცია მისადმი ყოველგვარ ზემოქმედებაზე“. თვით ცნება სტრესი დაყოფილია ორ ნაირსახეობად: „დისტრესი“ ანუ „ცუდი სტრესი“ და „ევსტრესი“ — „კარგი სტრესი“.

თავის წიგნში „სტრესი დისტრესის გარეშე“ ჰანს სელიე აღნიშნავს, რომ სტრესი უბედურების, ტანჯვის, უსიამოვნებისა და ავადმყოფობის გარეშეც შესაძლებელია. იგი მიუთითებს, რომ ორგანიზმზე ყოველგვარი ზემოქმედების დროს შეიძლება წარმოიქმნეს ერთ-ერთი რეაქცია: აქტიური — საბრძოლო და პასიური — გაქცევითი ან შემრიგებლური. ამ სტრესულ რეაქციებთან დაკავშირებულია ორი ჯგუფის ჰორმონები, რომლებიც ორგანიზმზე სრულიად საწინააღმდეგო ზემოქმედებას ახდენენ. ერთ ჯგუფს შეადგენენ კატატოქსიკური ჰორმონები, რომლებიც შესაბამის სიტუაციაში წარმოიქმნებიან და ჩვენს ორგანიზმს ქიმიურ ენაზე ეუბნებიან: „უნდა იბრძოლო, გაანადგურო მტერი, რადაც უნდა დაგიჯდეს“. ეს ჰორმონები აქტივებენ ორგანიზმის საიმუნონო ძალებს, ხელს უწყობენ ანთებით პროცესებს, იწვევენ სისხლის წნევის მომატებას და სხვა ეფექტებს, რაც ბრძოლისთვის, ომისთვისაა საჭირო. მაგრამ არსებობს მეორე ჯგუფი — სინტაქსური ჰორმონები, რომლებიც სტრესის დროს საწინააღმდეგო ბრძანებას აძლევენ ორგანიზმს: „ბრძოლა არ არის საჭირო! ასაღელვებელი არაფერია, სასიკვდილო ხიფათი არ გემუქრება, თუ დიდ ბრძოლას ატეხ, ეს უფრო მეტ ზიანს მოგაყენებს, ვიდრე თვით შენს წინაშე მდგარი საფრთხე“. ეს ჰორმონები, ჰანს სელიეს აზრით, აკავებენ იმუნოლოგიურ რეაქციებს, თრგუნავენ ანთებებს. მათ შეიძლება „მშვიდობის მოციქულები“ ვუწოდოთ. ბუნებრივია, აღნიშნავს იგი, რომ სხვადასხვა დროს საჭიროა სხვადასხვა სახის ჰორმონები. ეს ეხება არა მარტო ფიზიოლოგიური ფაქტორებით გამოწვეულ, არამედ ფსიქოლოგიურ, ემოციური ხასიათის სტრესებსაც.

მიხეილ ოყროშიძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული იქნება)

დამსახურებული გამარჯვება

სამტრედიაში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში.

გოგონათა შეჯიბრებაში (14 მონაწილე) დამსახურებულად გაიმარჯვა გარდაბნის რაიონის დიდი ლილოს საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ ქეთევან კახიანმა (მწვრთნელი გ. მაჭარაშვილი). 10,5 ქულით მან მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. მისი სახით რესპუბლიკას საიმედო მოჭადრაკე ეზრდება.

7,5-7,5 ქულით II-V ადგილები გაიყვეს ქეთევან აბაშიძემ (თბილისის 57-ე საშუალო სკოლა), ნინო გელაშვილმა (თბილისის პირველი საშუალო სკოლა), ნათია წკეპლაძემ (ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა) და მაკა ცხვედიანმა (ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა).

შეჯიბრების ყველაზე უმცროსმა მონაწილემ სოფიკო ნიკოლაძემ (ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლა) 6 ქულით VI ადგილი დაიკავა.

უფრო დაძაბულად წარიმართა ჭაბუკთა პირველობა (16 მონაწილე). აქ ჩემპიონი მხოლოდ ბოლო დღეს გამოვლინდა.

უძლიერესის სახელი მოიპოვა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ ნუკრი მანაგაძემ (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ქანთარია) — 11 ქულა. 10,5-10,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს რამაზ ბალათურიამ (სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა) და გივი გოგიჩაიშვილმა (თბილისის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი). კოეფიციენტთა ცხრილით მეორეა სოხუმელი მოჭადრაკე.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჩვენი წამყვანი ნორჩი მოჭადრაკეების თამაში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. ხარვეზები შეიმჩნევა სადებიუტო თეორიის ცოდნაში, უპირატესობის რეალიზაციისა და ენდშპილის თამაშის ტექნიკაში. მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და ჩვენი ნაკრების მწვრთნელებმა (ოსტატებმა ა. იზვოზჩიკოვმა, ა. ბოკუჩავამ, თ. ლომაიამ) ყველაფერი უნდა გააკეთონ აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამ საქმეში მათ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები და სამატჩო შეხვედრები დაეხმარება. ერთ-ერთი უახლოესი მატჩი გაიმართება 10-17 აპრილს ლენინგრადში, სადაც ჩვენი ნაკრები ლენინის ქალაქის მოსწავლეთა გუნდს შეხვდება (თითოეულ გუნდში 7 ჭაბუკი და 3 გოგონა ითამაშებს).

სამტრედიაში გამართული პირველობა რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატების შერჩევაში დაგვეხმარა.

პირველობაში გამარჯვებულ მოჭადრაკეებს მიესალმა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ.

სულიკო მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

„ბორჯომის“ პრიზებზე

ბაკურიანში გაიმართა ზამთრის სეზონის უკანასკნელი შეჯიბრება— 40-მეტრიანი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა გაზეთ „ბორჯომის“ პრიზებზე.

უფროსი ასაკის (1968-1969 წლებში დაბადებულნი) მხტომელებს შორის უძლიერესი იყო კახა წაქაძე — 198 ქულა (ხტომები 47 და 48 მეტრზე). საპრიზო ადგილებზე გავიდნენ იბრაჰიმ გობოზოვი (189 ქ. ხტომები — ორჯერვე 46,5 მ) და ელგუჯა ორჯონიკიძე (185 ქ., ორჯერვე 45,5).

უმცროსი ასაკის სპორტსმენებში (1970-1971 წ. წ.) ყველას აჯობა ამირან ჯანგობეგოვმა — 130 (ორივეჯერ 30 მ). მომდევნო ადგილებზე არიან დავით ჯანგობეგოვი და ზურაბ კურტანიძე (ორივეს 127 ქულა).

სოფიკო ხეთაგაშვილი.
(„ლელოს“ კორ.).
ბაკურიანი.

ორიენტირი — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

ოპტიმისტური განწყობილება

წლეულს, სექტემბერში, უზბეკეთის დედაქალაქში მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადა გაიმართება. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებიც გამოვლენ.

როგორ ემზადებიან ჭაბუკი ფალავნები ამ დიდი სპორტული ფორუმისთვის?

პირველი ცენტრალიზებული შეკრება თებერვალში მოეწყო. მწვრთნელები გაეცნენ ნაკრების კანდიდატთა ფიზიკურ და ტექნიკურ მონაცემებს, შემუშავდა სამუშაო გეგმა. ამჟამად მოჭიდავეები პერსონალურად, თავიანთ მწვრთნელებთან ემზადებიან. მაგალითად, სოხუმელი არსენ მაისურაძე (87 კგ) ამირან მაისურაძესთან ვარჯიშობს, მისი თანაქალაქელი დ. ხურცია (75 კგ) — შ. კიკაბიძესთან და გ. ხარებავასთან, გორელი ზ. ავაზაშვილი (52 კგ) — ნ. სხიერელთან, ტყვარჩელელი მ. ხარჩილავა (48 კგ) — ზ. ჭოლოკუასთან.

—სპარტაკიადამდე სამი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება მოეწყობა, — გვითხრა რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა თამაზ გოგოლაძემ, — ივნისში გავემგზავრებით ეშერაში, სადაც ძირითადად ნაკრების კანდიდატთა საერთო ფიზიკურ მომზადებას მიექცევა ყურადღება, შემდეგ, ივლისის ბოლო რიცხვებში, ბორჯომში გავაგრძელებთ ვარჯიშს. აქ წინა პლანზე წამოიწევს სპორტსმენთა ტექნიკური მომზადება. დასკვნით შეკრებას თბილისში, „დინამოს“ ბაზაზე ჩავატარებთ, აქვე შევაჯამებთ მოსამზადებელ პერიოდში გაწეულ მუშაობას და დავაზუსტებთ გუნდის საბოლოო შემადგენლობას.

თამაზ გოგოლაძე ათი წელიწადია, რაც რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებს უდგას სათავეში. ამ ხნის მანძილზე გუნდმა არაერთ წარმატებას მიაღწია საკავშირო სარბიელზე (გავიხსენოთ თუნდაც 1981 წლის მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა, საქართველოს ნაკრებმა მაშინ პირველი ადგილი დაიკავა). გოგოლაძესთან ერთად ახლა მოსწავლეთა ნაკრებთან მუშაობენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ჯონი ლორია და პეტრე ჯიოშვილი, მწვრთნელები — თამაზ ბენდიანიშვილი და თამაზ ხარებავა.

როგორც ზემოთ ითქვა, გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე შერჩეულია, მაგრამ რამდენიმე წონით კატეგორიაში ზოგიერთი მოჭიდავის მომზადების დონე იმდენად დაბალია, რომ საეჭვოა სპარტაკიადაზე კარგი შედეგი აჩვენონ. მიუხედავად ამისა, მწვრთნელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილზე გასვლას ვარაუდობენ. უფროსმა მწვრთნელმა მთავარ კონკურენტთა შორის დაასახელა რსფსრ-ის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და მოსკოვის გუნდები.

ტაშკენტში გასამგზავრებელი გუნდის კანდიდატები არიან ლ. ებანოიძე, ს. აბაშვილი, ზ. ბერიშვილი, ზ. ზეიკიძე, კ. რუხაძე, რ. ანტონოვი, ბ. ბერიძე, მ. კვინიკაძე, დ. ხურცია, ა. მაისურაძე, მ. ხარჩილავა, ზ. ავაზაშვილი... სპარტაკიადამდე ეს მოჭიდავეები, ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, რამდენიმე რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაში მოსინჯავენ ძალებს. მაგალითად, მაისში ალმა-ათაში გაიმართება ჭაბუკ ფალავანთა საკავშირო ტურნირი, მაისშივე მოეწყობა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა, ივლისში დაგეგმილია „დინამოს“ საკავშირო პირველობა. ასეთი ინტენსიური გამოსვლები, ცხადია, ხელს შეუწყობს მოჭიდავეთა დაოსტატებას, მწვრთნელებს, გარდა იმისა, რომ დაანახვებს ცალკეულ სპორტსმენთა მომზადებაში არსებულ ხარვეზებს, სასპარტაკიადო გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევის საშუალებასაც მისცემს.

წინა სპარტაკიადაზე მოპოვებული გამარჯვება ბევრს ავალებს ჩვენს მოჭიდავეებს, მათს მწვრთნელებს. ტაშკენტის სტარტამდე მათ ჯერ კიდევ ბევრი დრო აქვთ და ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ.

ვაჟა გიგოლაშვილი.

ახლა თქმა სჯობს არათქმასა...

ანუ ფიქრები კიევის „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ

უნდოდა თუ არ უნდოდა, კიევის „დინამომ“ თავის თბილისელ თანაკლუბელებს, ფეხბურთის ქართველ სპეციალისტებსაც და გულშემატკივრებსაც დიდი სამსახური გაუწია. თვითონ თავისებური რეკონსტრუქციის პროცესში მყოფმა და დროებით დაკარგული ხელწერის ხელახლა მაძიებელმა ჩვენს საუკეთესო გუნდს მისსავე მოედანზე მკაცრი გამოცდა მოუწყო. ეს იყო გამოცდა-შემოწმება ჩვენი „დინამოს“ ძველი გვარდიისა და ახალწვეულთა უნარისა, თამაშის დღევანდელი ორგანიზაციისა, „დინამოს“ საბრძოლო სულისკვეთებისა, მისი ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური მომზადებისა, გუნდის და, მასთან ერთად, მაყურებლის მორალური ტონუსისა.

ყოველივე ამისთვის ჩვენ მხოლოდ მადლიერი შეიძლება ვიყოთ, რადგან, თუ კაცი გონიერია, იგი დამარცხებიდან ისეთსავე სასარგებლო, სამომავლო დასკვნას გამოიტანს, როგორც გამარჯვებიდან. ისიც ვთქვათ, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ვერც „ფახთაქორმა“, ვერც „სპარტაკმა“, ვერც მოსკოვის „დინამომ“ და, მით უმეტეს, ვერც როსტოვის გუნდმა ვერ შეძლეს ჩვენთვის ასეთი „დახმარების“ გაწევა.

მაშ, ასე: კიევის „დინამო“ — ალბათ საბჭოური ფეხბურთის უპირველესი გრანდი ბოლო ოცი წლის მანძილზე, ამჯერადაც თბილისელების წინაშე წარდგა, როგორც საკუთარ თავში დაჯერებული, საბრძოლოდ გამზადებული კოლექტივი, რომელმაც პირველი წუთიდან ბოლო წუთამდე იცოდა, რა უნდოდა. სხვა საკითხია, რომ ტექნიკური წუნის გამო ჩანაფიქრი მუდამ ხორცს ვერ ისხამდა, მაგრამ ფაქტია: კიეველმა ფეხბურთელებმა გვიჩვენეს თამაშის გააზრებული ორგანიზაცია.

ასეთი გამართული საფეხბურთო მექანიზმის ფონზე თბილისის „დინამოს“ ტაქტიკური ნახაზი, ცოტა არ იყოს, ეკლექტიკური ჩანდა. იქნებ ამის გამო იყო, რომ მთელი თამაშის მანძილზე კიეველებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ მოედნის თითქმის ყველა წერტილში და ყოვლის გამანადგურებელი ძალის, დაწოლის, ფიზიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ატმოსფეროს ქმნიდნენ. ეს იყო ეგრეთ წოდებული ტოტალური ფეხბურთის კიევური მოდელი. ორი, სამი, ზოგჯერ ოთხი კიეველი ფეხბურთელიც კი ალყაში მოაქცევდა რომელიმე თბილისელს და აიძულებდა ეფიქრა არა იერიშზე, არამედ მოწინაღმდეგის მარწუხებისგან თავის დახსნასა და თავისუფალი სივრცის მოპოვებაზე. ასეთ ვითარებაში, როცა ერთი ჩვენი ფეხბურთელი უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა რამდენიმე კიეველთან, იგი ხანდახან ბურთის ფლობის ჩინებულ ტექნიკას გვიჩვენებდა; სამწუხაროდ, ეს ტექნიკური არსენალი უმეტესწილად ხმარდებოდა არა კონსტრუქციულ თამაშს, არამედ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას.

მარტო ტაქტიკური მოტივები ქმნიდა ძალთა ასეთ უთანასწორო შეფარდებას? რა თქმა უნდა, არა: ჩვენ პირწმინდად წავაგეთ თანამედროვე ფეხბურთის ისეთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტში, როგორიცაა ათლეტური მომზადება. არადა, ამ კომპონენტის გარეშე ოთხმოციანი წლების ფეხბურთი საერთოდ წარმოუდგენელია. თვით საკავშირო ჩემპიონატის შარშანდელი და წლევანდელი პრაქტიკაც გვიჩვენებს, როგორ გამოვიდნენ მეწინავე პოზიციებზე ისეთი გუნდები, რომლებსაც მანამდე არასდროს უთამაშიათ თვალსაჩინო როლი ქვეყნის ფეხბურთის განვითარებასა და წინსვლაში. ამ გუნდების კოზირი, უწინარეს ყოვლისა, არის სისწრაფე, ტემპი, ათლეტიზმი — სწორედ ის კომპონენტები, რომლებიც ასე აკლდა ჩვენს „დინამოს“ კიეველებთან მატჩში. თვით ჩვენმა ზედმიწევნით თავაზიანმა სტუმრებმაც კი (მიხეილ კომანი, ვლადიმერ ბესონოვი), რომლებსაც გამარჯვების შემდეგ შეეძლოთ სხვებივით დამამშვიდებელი სიტყვები ეთქვათ თბილისელი ტელემაყურებლისა და ჟურნალისტებისათვის, მათთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებისათვის, ამჯერად ეს საჭიროდ არ ჩათვალეს. მათ დაუფარავად მიგვითითეს იმ რამდენიმე ნაკლზე, რასაც „დინამოს“ თამაშში შარშანაც ვამჩნევდით, წელსაც, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერიდებოდით და, თუ ვამბობდით, მუდამ ჟურნალისტური „კოსმეტიკით“ შევალამაზებდით ხოლმე. ნურავინ დაგვძრახავს ამისათვის: ეს არავის მოუთითებია და უსწავლებია ჩვენთვის. უბრალოდ, ვიცით ჩვენი „ეზუკიანი“ ხასიათი და არ გვინდოდა განახლების მტანჯველ პროცესში მყოფი გუნდისა და მისი ხელმძღვანელების განაწყენება.

ჩვენდა უნებურად ვცოდავდით: გუნდის წინაშე, მისი ხელმძღვანელების წინაშე, მაყურებლის წინაშე, რომელიც ჩვენგან სამართლიანად მოითხოვს პასუხს კითხვებზე, ასე ხშირად რომ ებადება ბოლო წელიწად-ნახევრის მანძილზე „დინამოს“ გაჭიანურებულ კრიზისთან დაკავშირებით. გვავიწყდებოდა ქართველი კაცის ძველი, მაგრამ ყავლგაუსვლელი გამონათქვამი, რომელიც ყველაზე მეტად ისევ ქართველს სჭირდება: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. მართლის თქმა დღეს ისევე სჭირდება ჩვენს ფეხბურთს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს.

დავუბრუნდეთ მატჩს კიევის „დინამოსთან“, რომელიც არ იყო ჩვეულებრივი თამაში. იგი თავისებურ სასინჯ ქვად იქცა თბილისელებისთვის, ფეხბურთელებისთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც. ამ მატჩმა თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ჩვენი გუნდის ყველა სათამაშო რგოლში სერიოზული ნაკლოვანებებია. თამაშის ორგანიზაციასა და ათლეტიზმზე უკვე მოგახსენეთ. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ეგრეთ წოდებული „ნედლი“ ფეხბურთი, რომელსაც საქართველოს უპირველესი გუნდის რამდენიმე წევრი გვიჩვენებს. გავხსნათ ფრჩხილები და დაუფარავად ვთქვათ ის, რისი მოსმენაც შესაძლოა მათი ადრესატებისათვის სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ რის თქმასაც მოითხოვს ჩვენი გუნდის მომავალი. კიევის მატჩის, ისევე როგორც სხვა თამაშების მიხედვით, ჩვენ არ შეიძლება დაგვაკმაყოფილოს გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელების საერთო მომზადების დონემ. მათი დიდი ნაწილი არათუ მაღალი კლასის ოსტატობის, არამედ ხშირად საშუალო საკავშირო სტანდარტების დონეზეც ვერ თამაშობს. რა ხდება? ნუთუ დაიშრიტა ქართული ფეხბურთის წყალუხვი მდინარე, ნუთუ მის წიაღში უწინდელივით მრავლად აღარ იზრდებიან უნიჭიერესი ფეხბურთელები, რაც სამართლიანად შურდათ ჩვენს მეტოქეებს? ნუთუ ჩვენი საფეხბურთო შეჯიბრებები, საქართველოს ჩემპიონატიდან დაწყებული საკავშირო პირველი ლიგის სამი გუნდით დამთავრებული, წინანდელივით ველარ აწვდიან რესპუბლიკის საუკეთესო გუნდს ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც შეძლებენ ზიდონ ქართული ფეხბურთის პრესტიჟის მძიმე ტვირთი? ეს კითხვები შემოვინახოთ და შევეცადოთ ქვემოთ გავცეთ პასუხი.

ახალგაზრდა ფეხბურთელებზე უკვე ვთქვით; არანაკლებ და შესაძლოა უფრო დიდი პრეტენზიაც გვაქვს იმ ფეხბურთელების მიმართ, რომლებიც თავიანთი ავტორიტეტით, გამოცდილებით, ოსტატობით გუნდის ჭეშმარიტი წინამძღოლები უნდა იყვნენ, მაგრამ არიან კი? მათ უფრო მონდომებას ვამჩნევთ, მოვალეობის კეთილსინდისიერად მოხდის სურვილსა და განწყობილებას, ვიდრე სწრაფვას ლიდერობისაკენ სხვადასხვა სათამაშო რგოლში. ამ აზრით, მათ, ცხადია, ვერ მივიჩნევთ თავიანთ ახალგაზრდა, შედარებით გამოუცდელი პარტნიორების ნამდვილ თანამდგომებად და, თუ გნებავთ, დამრიგებლებად. მეტიც: თუ ჩვენი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო უჭირთ მაღალი კლასის კონკურენტებთან თანასწორი ბრძოლა, ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ჩვენი ნაცადი გვარდიის ზოგიერთი წარმომადგენელიც კი დაძაბულ მატჩებში ვერ ახერხებს მეტოქეების კონკურენციის დაძლევას. რით შეიძლება აიხსნას ეს?

ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: ჩვენი „დინამოს“ ფეხბურთელებს შორის არ იგრძნობა მისწრაფება კოლექტიური, ერთსულოვანი, თუ შეიძლება ითქვას, კოლეგიალური ფეხბურთისადმი. ეს კი ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტთაგანია და იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანიც კი. სწორედ ასეთი თამაშის რეციდივებს ვხედავთ „დინამოს“ შარშანდელ და წლევანდელ სეზონში.

გამოცდილი და ახალბედა თაობების ურთიერთკავშირი ისე სჭირდება დღეს „დინამოს“, როგორც არასოდეს, რამეთუ გუნდი არასოდეს გვინახავს ასეთი მძაფრი კრიზისის მარწუხებში. ჭერჯერობით ასეთ ურთიერთთანადგომას, ასეთ კავშირს გამოკვეთილად ვერ ვამჩნევთ. ჩვენი ღრმა რწმენით, პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უფროსმა თაობამ უნდა გადადგას. მათ უნდა ირწმუნონ ახალგაზრდა პარტნიორების ძალა და არავითარ შემთხვევაში არ გაუსვან ხაზი თავიანთ პრიორიტეტს. ფეხბურთი დემოკრატიული სპორტია და მასში ყველა თანაბარია, ოსტატობისა და გამოცდილების მიუხედავად, ყველას ერთნაირად მოეთხოვება გუნდის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება, მისთვის მაქსიმალური სარგებლობის მოტანა. მხოლოდ თამაშის ხარისხი, ვარჯიშისა და თამაშის პროცესისადმი შეგნებული დამოკიდებულება გამოავლენს გუნდის ნამდვილ ლიდერებს და არა უწინდელი ჩინ-მედლები თუ დამსახურება. ასეთია, საზოგადოდ, ფეხბურთის ლოგიკა.

კიდევ ერთი პრობლემის შესახებ, რომელიც კარგა ხანია დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს: ჩვენ თითქმის მხოლოდ თაობათა ცვლას გადავაბრალეთ ის გასაჭირი, რომელიც დღეს „დინამოს“ აღგას. დიახ, თაობათა ცვლა მოხდა, მაგრამ ეს პროცესი ხდება მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის ნებისმიერი გუნდის ცხოვრებაში და არასოდეს გაუთავებელ დრამად არ იქცევა. ჩვენს „დინამოს“ თაობათა ცვლის პროცესის უმტკივნეულოდ გადატანაში ეხმარებოდა საქართველოს ყველა გუნდი, ყველა ორგანიზაცია, მათ შორის უმაღლესი ინსტანციებიც კი. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ობიექტური მიზეზების გარდა არსებობს სხვა მიზეზებიც, რომლებიც კოლექტივის შეცდომებში უნდა ვეძიოთ? სწორედ ეს შეცდომები უნდა ვაქციოთ სპეციალისტების საჯარო მსჯელობისა და ანალიზის საგნად, რათა თვით ხელმძღვანელობასაც და გუნდსაც დროზე აღმოვუჩინოთ დახმარება. ასე იქცევიან საერთოდ ისინი, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული ჩვენი ფეხბურთისა და მისი ფლაგმანის დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე. თაობათა ცვლაზე მოგახსენებდით. კაცმა რომ თქვას, მიუხედავად მოთამაშეთა ერთი ჯგუფის წასვლისა, კოლექტივში მაინც დარჩა გამოცდილ ფეხბურთელთა ბირთვი. მაგრამ როგორ თამაშობენ ისინი დღეს, პასუხობენ თუ არა საკავშირო სტანდარტებს? ვგონებ, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, ვინაიდან ზოგიერთ ფეხბურთელთაგან, რომლებმაც კარგა ხნის წინათ მოიპოვეს აღიარება, მხოლოდ სახელებიღა დარჩა (შესაძლოა, მეტისმეტიც მოგვდის, მაგრამ დღესდღეობით, სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს ვიტყვით. არ არის გამორიცხული, რომ ამჟამად ისინი საუკეთესო სპორტულ ფორმაშიც არ არიან). თანაც, განა ცოტაა გუნდში მართლაც ექსტრა-კლასის მოთამაშე: ჩივაძე, შენგელია, გუცაევი, სულაქველიძე... უკვე დროა მათ მხარი აუბან კაკილაშვილმა, ქვანიამ, სვანაძემ, ცაავამ და სხვებმა. ასე რომ, დაუსრულებელი ლაპარაკი გუნდის ძირფესვიან გარდაქმნა-გაახალგაზრდავებაზე, ალბათ, არ შეეფერება სინამდვილეს. სპეციალისტებმა ამ საკითხზე უნდა გამოთქვან პირუთვნელი აზრი.

ზემოთ აღვნიშნეთ და სამართლიანადაც, რომ საქართველოს უპირველესი გუნდის აღორძინებაში მონაწილეობდა მთელი ქართული ფეხბურთი მის განკარგულებაში არსებული კადრებითა და შესაძლებლობებით. მაგრამ მოულოდნელად ჩვენი უპირველესი გუნდის „ხსნისათვის“ დაწყებული ეს სასელექციო პრაქტიკა დაგვეხმარა რესპუბლიკის ფეხბურთის სხვადასხვა რგოლის სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოვლენაში. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს ჩემპიონატსა და მის გუნდებზე. ეს ჩემპიონატი, რამდენადაც გვესმის, მისი მასშტაბურობისა და მნიშვნელობის კვალობაზე უმნიშვნელოვანეს როლს უნდა თამაშობდეს ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების აღზრდაში, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებისათვის ნიჭიერი ფეხბურთელების მიწოდებაში. სინამდვილეში კი რას ვხედავთ: ეს უზარმაზარი საფეხბურთო სტიქიონი, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ერთობ „მოკრძალებული“ რაოდენობით გზავნის თავის დელეგატებს მაღალ ლიგებში. ეს მაშინ, როცა ჩემპიონატი მოიცავს პრაქტიკულად რესპუბლიკის ყველა კუთხეს, ყველა რეგიონს და მას ემსახურება მრავალი სპეციალისტი. ამიტომ ზედმიწევნით დროულად მიგვაჩნია საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის მცდელობა რესპუბლიკის ჩემპიონატის, ქართული ფეხბურთის ამ საფუძველთა საფუძვლის გაჯანსაღებისა და დაწინაურებისათვის, რათა იგი იქცეს არა თითო-ოროლა, არამედ მრავალრიცხოვან ნიჭიერ ფეხბურთელთა აღმოჩენისა და გამოზრდის კერად. არსებობს გამოთქმა: ძლიერი კლუბები — ძლიერი ნაკრები. თუ ამ გამოთქმას თბილისის „დინამოს“ მივუყენებთ, რომელიც ფაქტიურად საქართველოს საუკეთესო მოთამაშეთა ნაკრებია, მაშინ იგი ასეთ სახეს მიიღებს: რესპუბლიკის ძლიერი გუნდები — ძლიერი თბილისის „დინამო“. ამიტომ კიევთან მატჩის გაკვეთილი და მისგან გამომდინარე დასკვნები ეხება არა მარტო თბილისის „დინამოს“, არამედ მთელ ქართულ ფეხბურთს.

ბოლოთქმა: თუ ვინმე, ჩვენდა სამწუხაროდ, ერთი წუთით მაინც გაიფიქრებს, რომ წერილი „ცხელ“ გულზეა დაწერილი, ძალიან შეცდება. სტატია დაგვაწერინა ქართული ფეხბურთისა და მისი წინამძღოლის — თბილისის „დინამოს“ უმაღლესმა ინტერესებმა. ალბათ, თითოეული ჩვენგანი თავისი შესაძლებლობის კვალობაზე ყველაფერს გააკეთებს, რათა დააჩქაროს გუნდში კრიზისის გადალახვის პერიოდი. ჩვენ ისიც მშვენივრად გვესმის, რომ საფეხბურთო სეზონი ეს-ესაა დაიწყო და გლობალური შეფასება-ანალიზი ცოტა ნაადრევია. მიუხედავად ამისა, ჯობს მწარე, მაგრამ მართალი სიტყვა ამთავითვე ვუთხრათ ჩვენს საყვარელ გუნდსა და მის ხელმძღვანელობას, ვიდრე მაშინ, ურემი რომ გადაბრუნდება. იმავდროულად, რედაქცია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვენს საკუთარ სახლში, ანუ ფეხბურთის სპეციალისტთა და გულშემატკივართა წრეში, პერიოდულად პირუთვნელად, გულწრფელად და კეთილგანწყობით უნდა ვიმსჯელოთ, გავაანალიზოთ ცუდიც და კარგიც „დინამოს“ ცხოვრებისა.

შესაძლოა ზოგიერთმა შემოგვიტიოს და შეგვახსენოს, რა ოპტიმისტური იყო „ლელოს“ ტონი ახალი სეზონის დაწყების წინ, როცა სულითა და გულით დავუჭირეთ მხარი განახლებული გუნდის საფეხბურთო პრემიერას. ჩვენი ღრმა რწმენით, გაზეთი გუნდს მაშინაც აქტიურად უჭერდა მხარს, ახლა კი მისი კიდევ უფრო დიდი და ერთგული თანამდგომია.

არჩილ გოგელია.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურიდან გამოტოვებული 2 კალენდარული მატჩი:

„სპარტაკი“ — „ნეფთჩი“ 2:1
„დინამო“ მნ. — „შახტიორი“ 2:2

7 და 8 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის V ტურის კალენდარული მატჩები.

ცსკა — „დინამო“ მნ. 0:0.

გააფრთხილეს არმიელი ბ. კუზნეცოვი და დინამოელი შიშკინი.

დუბლიორები — 1:3.

„ტორპედო“ — „ჟალგირისი“ 0:0. ამ მატჩში ვილნიუსელმა მაცკიავიჩიუსმა ვერ გაიტანა 11-მეტრიანი (ბურთი მოიგერია მეკარე ჩანოვმა).

დუბლიორები — 3:0.

„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 0:1 (0:0). მასპინძელთა კარში ბურთი გაიტანა როდიონოვმა.

დუბლიორები — 4:0.

„შახტიორი“ — „ფახთაქორი“ 3:2 (3:1). ბურთები გაიტანეს იაშჩენკომ, სოკოლოვსკიმ, პეტროვმა („შახტიორი“), იურჩიშინმა და კაბაევმა („ფახთაქორი“).

დუბლიორები — 1:0.

„მეტალისტი“ — „დინამო“ მ. 2:1 (0:0). გოლები: ტარასოვი, მოტუზი („მეტალისტი“), გაზაევი („დინამო“).

გააფრთხილეს მოსკოველი გოტლოვინი და ხარკოველი მოტუზი.

დუბლიორები — 1:1.

„არარატი“ — ასკ რ. 1:2 (1:1). გოლები: მელიქიანი („არარატი“), ნიკიტინი, ანდრეევი (ასკ).

დუბლიორები — 0:0.

„ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“ 2:1 (2:1). გოლები: ყურბანოვი, ვახაბ-ზადე („ნეფთჩი“), სახნო („ჩერნომორეცი“).

დუბლიორები — 1:0.

„ქაირათი“ — „ზენიტი“ 1:1 (0:0). გოლები: სტუკაშოვი („ქაირათი“), ქელუდკოვი („ზენიტი“).

გააფრთხილეს ლენინგრადელი ტიმოფეევი და ალმაათელი იაროვენკო.

დუბლიორები 0:1.

● **წლევანდელ** სეზონში მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა დაესწრო თბილისისა და კიევის დინამოელთა მატჩს — 72.300.

● **9 მატჩიდან** 3 მოიგეს მასპინძლებმა, 3 —სტუმრებმა და 3 დამთავრდა ფრედ. 11 ბურთი გაიტანეს სტუმრებმა, 9— მასპინძლებმა.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა სიას მეთაურობენ ერევნელი მხითარიანი, როსტოველი ანდრეევი, ლენინგრადელი ქელუდკოვი, ალმაათელი სტუკაშოვი და ხარკოველი ტარასოვი. მათ 4-4 ბურთი გაიტანეს.

● **თბილისისა** და კიევის დინამოელთა მატჩში თბილისელთა კარში გატანილი პირველი ბურთი ჩაეთვალა არა კიეველ ბურიაკს, არამედ თბილისელ თევზაძეს (საკუთარ კარში). ამის თაობაზე შესაბამისი აღნიშვნა შეტანილია თამაშის ოქმში.

● **ზედიზედ** მესამე გამარჯვება მოიპოვეს კიევის დინამოელებმა და დონის როსტოვის არმიელებმა, ხოლო ზედიზედ მესამე დამარცხება იწვნია ერევნის „არარატმა“.

● **ბოლო** 4 მატჩში თბილისის დინამოელებს არც ერთი ბურთი არ გაუტანიათ.

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის 47-ე საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში კვლავ მოხდა ცვლილებები.

მოსკოვის „სპარტაკი“ და ალმაათის „ქაირათი“ 21 აპრილის ნაცვლად ითამაშებენ 19 ივნისს (VII ტური). ლენინგრადის „ზენიტისა“ და კიევის „დინამოს“ მატჩი 3 მაისიდან გადმოტანილია 2 მაისისათვის.

I ლიგაში ვოროშილოვგრადის „ზარია“ და ვორონეჟის „ფაკელი“ 30 აპრილის ნაცვლად ითამაშებენ 24 აპრილს.

პროგნოზები ნახევარფინალების წინ

დღეს ევროპის ექვს ქალაქში პოპულარული საკლუბო ტურნირების პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. საზღვარგარეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს მომავალ ორთაბრძოლებს. გთავაზობთ წერილს, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით მეტოქეთა შანსებზე, მათ შესაძლებლობებზე.

ჩემპიონთა თასი

„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია) — „რომა" (იტალია).

„ლივერპული" (ინგლისი) — „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი).

„დანდი იუნაიტედმა", რომელმაც პრაქტიკულად დაკარგა შოტლანდიის ჩემპიონობის შენარჩუნების შესაძლებლობა, ახლა მთელი გულისყური ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე გადაიტანა. მიმომხილველების უმრავლესობის აზრით, შოტლანდიელები ფიზიკურად გაცილებით უკეთ არიან მომზადებული, ვიდრე მათი მეტოქე — „რომა". სამაგიეროდ, ამ უკანასკნელთა მხარეზეა უდავო ტექნიკური უპირატესობა. ისე რომ, აზრი იყოფა — ამ წყვილში აშკარა ფავორიტს ვერავინ ასახელებს.

ახლახან, ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის" კორესპონდენტთან საუბარში უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მწვრთნელმა დოქტორმა ვაცლავ ქირამ განაცხადა, რომ, მისი აზრით, ფინალში მაინც „დანდი იუნაიტედი" გავა. იტალიელი მიმომხილველები, რა თქმა უნდა, სხვაგვარად ფიქრობენ. „რომას" შვედი მწვრთნელი ნილს ლიდჰოლმი „დანდი იუნაიტედს" მეტად სახიფათო მეტოქედ მიიჩნევს, მაგრამ, ამავე დროს, თავის გუნდს უფრო მაღალი კლასის კოლექტივად თვლის. „რომას" მცველმა უბალდო რიგეტიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი შეეცდება იტალიის ჩემპიონობა შეინარჩუნოს, თუმცა პირველობის დამთავრებამდე 6 ტურით ადრე „იუვენტუსი" მას სამი ქულით უსწრებს. მთავარი მაინც ის არის, რომ ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი 30 მაისს რომში არის დანიშნული და რიგეტის აზრით, „რომას" მონაწილეობის გარეშე მას ეშხი დაეკარგება.

მეორე წყვილში დოქტორი ქირა და სპეციალისტების უმრავლესობაც „ლივერპულს" მიიჩნევენ ფავორიტად. ეროვნულ ჩემპიონატში მცირე წარუმატებლობის შემდეგ „ლივერპული" ისევ ბრწყინვალედ ათამაშდა. ამას ხელი შეუწყო გუნდის ვეტერანის კენი დალგლიშის გამოჯანმრთელებამ. მიმომხილველთა აზრით, დალგლიში რომ არა, „ლივერპულის" საუკეთესო ბომბარდირს იენ რაშს ასეთი მაღალი შედეგები არ ექნებოდა (ეს თვალნათლივ ჩანს ხოლმე შოტლანდიელი დირიჟორის არყოფნის დროს). ოპტიმისტურად არიან განწყობილი რუმინელი სპეციალისტებიც. გაზეთები აღნიშნავენ „დინამოს" დიდ ტაქტიკურ დისციპლინას, იმას, რომ იგი ზუსტად ახორციელებს დასახულ გეგმას, შეუპოვარი დაცვაც შეუძლია და მწვავე შეტევაც.

თასების მფლობელთა თასი

„მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) — „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია).

„პორტუ" (პორტუგალია) — „აბერდინი" (შოტლანდია).

დოქტორი ქირა ნახევარფინალურ შეხვედრებში უპირატესობას ბრიტანულ კლუბებს ანიჭებს. „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „იუვენტუსის" შანსების შეფასებისას სპეციალისტთა აზრი იყოფა. ბევრს გული გაუცრუა იტალიელების მეტისმეტად „ეკონომიურმა" თამაშმა ფინეთის „ჰაკასთან". ტურინელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ გაამართლა თავისი ფეხბურთელები, რომლებსაც მისი თქმით, გაცილებით საპასუხისმგებლო შეხვედრები მოელით და სრულიად შეგნებულად დაზოგეს ძალები. თვალში საცემია შემდეგი გარემოებაც — თუმცა „იუვენტუსი" თითქმის მთლიანად უმაღლესი კლასის ოსტატებით არის დაკომპლექტებული, გუნდის თამაში ახლა თითქოს ერთ ფეხბურთელზე — მიშელ პლატინიზეა დამოკიდებული (ფრანგ ოსტატს პრაღის „ჩესკოსლოვენსკი სპორტი" „გენიალურ დირიჟორს" უწოდებს). ახლა კი პლატინი თავს შეუძლოდ გრძნობს და თუ 11 აპრილს მინდორზე გამოვა, შესაძლოა სრული ძალით ვერ ითამაშოს.

ძალების უკიდურესი დაძაბვა მოუწევს „პორტუს", რომელსაც ჩემპიონობისთვის ბრძოლის საკმაოდ ხელსაყრელი სიტუაცია შეექმნა — იგი ორი ქულით ჩამორჩება ლიდერს — „ბენფიკას". ამ მხრივ „თავი ქუდში აქვთ" „აბერდინის" ფეხბურთელებს, რომლებმაც წესით შოტლანდიის ჩემპიონობა უნდა მოიპოვონ. პორტუგალიელებისა და შოტლანდიელების შეხვედრებში წარმატების მეტი შანსი ამ უკანასკნელებს აქვთ.

უეფა-ს თასი

„ჰაიდუკი" (სპლიტი, იუგოსლავია) — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი, ინგლისი).

„ნოტინგემ ფორესტი" (ინგლისი) — „ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია).

პირველი წყვილის შესახებ სულ სხვადასხვანაირი, ერთმანეთის გამუნდი არ არის, რომელიც „ტოტენჰემის" დირექტორატის წარმომადგენელმა პიტერ დეიმ ჟურნალისტებს დაუფარავად განუცხადა:

— ნახევარფინალში სწორედ „ჰაიდუკთან" შეხვედრას ვნატრობდით. ჩემი აზრით, ფინალისკენ გზა უკვე გაგვეხსნა. „ჰაიდუკი" ის გუნდი არ არის, რომელიც „ტოტენჰემს" ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს.

გაცილებით უფრო თავშეკავებულია „ტოტენჰემის" პრეზიდენტი ირვინგ სოლერი:

— ჩვენი ექსპერტები თვალყურს ადევნებდნენ „ჰაიდუკისა" და „სპარტას" მეოთხედფინალურ მატჩებს პრაღაშიც და სპლიტშიც. აქ იუგოსლაველებმა ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობანი. მათ გაცილებით უკეთ შეუძლიათ თამაში. გავიხსენოთ, რა დღე დაგვაყენეს ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" და ზაგრების „დინამომ".

ცნობილმა იუგოსლაველმა ფეხბურთელმა იურიცა ერკოვიჩმა, რომელიც ახლა „ციურიხში" თამაშობს, იუგოსლავიის ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ „ჰაიდუკი" აუცილებლად გავა ფინალში. თუ კიდევ ერთხელ გავახსენებთ დოქტორ ქირას, იგი ფინალში „ჰაიდუკისა" და „ნოტინგემ ფორესტის" გასვლას ვარაუდობს.

დასასრულს, მოგვყავს უეფა-ს ახალი პრეზიდენტის, ფრანგი ჟაკ ჟორჟის ნათქვამი:

— თასებისთვის ბრძოლას განაგრძობს დიდი ბრიტანეთის 6 კლუბი, რაც შესანიშნავი მიღწევაა. საინტერესოა ისიც, რომ დასავლეთ გერმანიის გუნდებმა მიმდინარე გათამაშებათა ადრეულ სტადიაშივე ფიასკო განიცადეს. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში ევროპული თასების მაძიებელთა გეოგრაფია უფრო გაიზრდება, რაც მეტად შეუწყობს ხელს ძველ კონტინენტზე ფეხბურთის განვითარებას.

ბიძი გამრეკელი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ევროპის ჩემპიონთა თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩის მომენტი „რომასა" და ბერლინის „დინამოს" შორის. ბურთისთვის იბრძვიან დინამოელი ერნსტი (თეთრ მაისურში) და რომაელი ოდი. ეს შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 3:0.

ჩემპიონის ახალი გამოსვლა

მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ანატოლი კარპოვი და საერთაშორისო დიდოსტატი სერგეი მაკარიჩევი ოსლოს გაემგზავრნენ, სადაც ადგილობრივი საჭადრაკო კლუბის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი ტარდება. მათს გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობს კიდევ რვა მოჭადრაკე. ესენი არიან: დიდოსტატები ვლასტიმილ ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), ანდრაშ ადორიანი (უნგრეთი), რობერტ ჰიუბნერი (გფრ), ენტონი მაილსი (ინგლისი); საერთაშორისო ოსტატები — ნიკ დე ფირმიანი (აშშ), იონ არნასონი (ისლანდია), ტომ ვედბერგი (შვეცია) და სიმენ აგდეშტაინი (ნორვეგია).

●

პრიზები გაინაწილეს

დამთავრდა ევროპის საკლუბო ტურნირების — ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და იჰფ-ის თასის გათამაშება ხელბურთში.

ვაჟთა შორის ყველაზე საპატიო ჯილდო — **ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი** პრაღის „დუკლამ" (ჩეხოსლოვაკია) მოიპოვა. მისი ფინალური შეხვედრები შაბაცის „მეტალოპლასტიკასთან" (იუგოსლავია) უაღრესად დაძაბული გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ მეტოქეებმა საკუთარ მოედნებზე ერთნაირი ანგარიშით (21:17) გაიმარჯვეს. დაინიშნა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერია, რომელიც „დუკლამ" უკეთ შეასრულა — 4:2.

თასების მფლობელთა თასის ფინალი ერთი მატჩისაგან შედგებოდა. ესპანეთის „ბარსელონამ" მოუგო დაბოის „სლოგას" (იუგოსლავია) — 24:21 და პრიზს დაეუფლა.

იჰფ-ის თასის გათამაშებაში დასავლეთ გერმანიის „გროსვალშტადტმა" ორჯერ სძლია სიიბორგის „გლადსაქსეს" (დანია) — 16:15 და 20:19.

ქალთა შორის ევროპის საკლუბო ტურნირების ფინალურ შეხვედრათა შედეგები ასეთია:

ჩემპიონთა თასი. „რადნიჩკი" (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ) 20:19, 22:16.

თასების მფლობელთა თასი. „დალმა" (სპლიტი, იუგოსლავია) — „გოტვალდოვი" (ჩეხოსლოვაკია) 22:18, 26:15.

იჰფ-ის თასი. „ქიმისტული" (რიმნიკულ-ვილჩა, რუმინეთი) — „ოლდენბურგი" (გფრ) 22:18, 29:21.

ვირსმა თუ ვირნი?

გუშინწინ ქალაქ როტერდამში (ჰოლანდია) შაშში მსოფლიო პირველობის მატჩის მეთექვსმეტე პარტია საბჭოთა დიდოსტატმა ვ. ვირნიმ მოიგო. ჰ. ვირსმა (ჰოლანდია) მას ხუთი საათისა და 11 წუთის ბრძოლის შემდეგ 55-ე სვლაზე დანებდა.

ამრიგად ანგარიში გათანაბრდა — 8:8 (+1—1=14).

სათამაშო დარჩა 4 პარტია. შეგახსენებთ, რომ ყაიმის (10:10) შემთხვევაში ვირსმა მსოფლიო ჩემპიონად დარჩება.

„მეჯლისი ყინულზე" დამთავრდა

ტაშკენტის სპორტის სასახლე „იუბილეინის" ყინულის სარბიელზე დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ასპარეზობის ბოლო ოქროს მედალი დაისაკუთრა 19 წლის სვერდლოვსკელმა სპორტსმენმა ნატალია ლებედევამ.

ვაჟთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ვიტალი ეგოროვი (ხარკოვი).

წარმატება ბანგკოკის რინგზე

ტაილანდის დედაქალაქში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 16 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საბჭოთა მოკრივეებმა გაიმარჯვეს. ფინალურ ორთაბრძოლებში პირველობა არავის დაუთმეს მსოფლიო ჩემპიონმა დონეცკელმა ალექსანდრ იაგუბკინმა (91 კგ-მდე), ერევნელმა ისრაელ აკოპკოხიანმა (67) და ტაშკენტელმა ვლადიმერ შინმა (81). გარდა ამისა, საბჭოთა მოკრივეებმა ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები მოიპოვეს. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 35 ქულა, აშშ — 33, კენია — 29.

ფეხბურთი

სოლომონისებური გადაწყვეტილება

უეფა-ს გადაწყვეტილებით მასიმო ბონინის აეკრძალა იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებში გამოსვლა, რადგან, როგორც გამოირკვა, იგი სან-მარინოს რესპუბლიკაში ყოფილა დაბადებული. ამავე დროს, მას დაუტოვეს უფლება ტურინის „იუვენტუსში" ითამაშოს როგორც იტალიელმა და არ შეეხოს ეგრეთ წოდებული „უცხოელების ლიმიტის" წესი. ამდენად, „იუვენტუსში" ბონინი, როგორც ადგილობრივი ფეხბურთელი, არ იქნება პლატინისა და ბონეკის კონკურენტი. როგორც ცნობილია, იტალიის კლუბებს უფლება აქვთ მხოლოდ ორი უცხოელი ფეხბურთელი ჰყავდეთ შემადგენლობაში.

ვის დავუჯეროთ?

ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ბობი რობსონს მიაჩნია, რომ მის გუნდში ახლა ყველაფერი რიგზეა და მან თანდათან უნდა გააუმჯობესოს თამაში. მისი აზრით, დანიელებისთვის ევროპის პირველობის ფინალის საგზურის დათმობა სულაც არ არის სამარცხვინო, რადგან, რობსონის თქმით, დანიის ნაკრები ამჟამად... უძლიერესია ევროპაში!

სრულიად განსხვავებული აზრი გამოთქვა ცნობილმა ინგლისელმა მწვრთნელმა ბობ პეისლიმ, რომელსაც, როგორც ცნობილია, დიდი წარმატებები ჰქონდა „ლივერპულში", ახლა კი ასაკის გამო პენსიაზე გავიდა. პეისლიმ განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრები მეტისმეტად სუსტად არის მომზადებული და მის შემადგენლობაში მხოლოდ ორი მოთამაშე გამოირჩევა: მეკარე პიტერ შილტონი და ნახევარმცველი ბრაიან რობსონი.

პელეს საჩვენებელი მატჩი

43 წლის პელე, რომელმაც თავისი კარიერის მანძილზე 1285 გოლი გაიტანა, 5 მაისს კვლავ გამოვა მინდორზე. ამ დღეს იგი ფრანც ბეკენბაუერთან, კარლოს ალბერტოსთან, იოჰან ნეესკენსსა და ახალ ვარსკვლავებთან ერთად ითამაშებს ნიუ-იორკის „კოსმოსის" ვეტერანების გუნდში ამავე კლუბის ახლანდელი შემადგენლობის წინააღმდეგ.

იუბილე ჩემპიონატს დაემთხვა

სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ორგანიზატორებს განზრახული აქვთ გადაიხადონ ეროვნული ნაკრების 80 წლის იუბილე. ამ ქვეყნის ნაკრებმა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი გამართა 1904 წლის 1 მაისს ბრიუსელში ბელგიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ.

ჰოლანდიის კანდიდატურა

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად წამოაყენა თავისი კანდიდატურა ევროპის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ნაწილის გამართვაზე.

გამარჯვებისთვის — სამი ქულა

ასეთი დადგენილება მიიღო ისლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ — ამიერიდან ეროვნულ ჩემპიონატში მატჩის მომგებს სამი ქულა ჩაეწერება. მანამდე ასეთი ჩათვლა, მოთამაშეთა გააქტიურების მიზნით, ინგლისში შემოიღეს და, სპეციალისტების აზრით, ამან დადებითი შედეგიც გამოიღო.

ყაველი არ გაუვიდა

ფეხბურთის მოყვარულებს კარგად იცნობენ ჰოლანდიელ მეკარე იან იონგბლადს, რომელიც ახლა 43 წლისაა. იგი ჰოლანდიის ნაკრების კარს იცავდა 1974 და 1978 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში, როცა ამ გუნდმა ვერცხლის მედლები მოიპოვა. ახლა ამ უბერებელ მეკარეს „წინაპარი" დაარქვეს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ იგი უდავოდ რჩება ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ. იონგბლადი, რომელიც ჰოლანდიის პირველი ლიგის კლუბ „გოუ ეჰედში" (დევენტერი) თამაშობს, ამ ლიგის უხუცესი ფეხბურთელია. მან ამას წინათ თავისი სპორტული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე იზეიმა.

თასები, თასები

ინგლისი

ლიგის თასი — ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ჯილდო, ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა „ლივერპულმა". მისი ფინალური შეხვედრა თანაქალაქელთა გუნდთან — „ევერტონთან", რომელიც ნეიტრალურ მინდორზე, ლონდონში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 0:0. განმეორებით მატჩს მანჩესტერში 42 ათასი მაყურებელი დაესწრო. ერთადერთი ბურთი შეხვედრის 22-ე წუთზე გაიტანა „ლივერპულის" ვეტერანმა, შოტლანდიელმა გრემ სუნესმა.

ბელგია

ქვეყნის თასის ფინალში გავიდნენ „სტანდარდი" (ლიეჟი) და „გენტი". პირველმა ორჯერ სძლია მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერს — „ბევერენ ვაასს" — 2:1 და 3:1, ხოლო „გენტმა" ორი მატჩის ჯამში „ლიერსი" დაამარცხა — 3:1 და 0:1.

რედაქტორი ა. გოგელია.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

13 აპრილი

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი)—„ჩერნომორეცი" (ოდესა)

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთები და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 11-12 აპრილს 10 საათიდან, ხოლო სტადიონის სალაროებში 11-12-13 აპრილს დილის 10 საათიდან.

უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისა და გმირების ოჯახებისათვის ბილეთების გაყიდვა იწარმოებს 11-12 აპრილს „დინამოს" სტადიონის მე-6 სალაროში.

ფეხბურთის აბონემენტების მფლობელებს საფეხბურთო ლატარიის ბილეთები მიეყიდებათ 11-12 აპრილს „დინამოს" სტადიონის მე-7 სალაროში.

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობანი ითამაშებენ „ლოკომოტივის" სტადიონზე 12 აპრილს.

დასაწყისი 18.30 საათზე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 05881